ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 ივნისის

საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ ბორითში მდებარე არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების **1553** კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ 36.03.33.190), მასზე მდგარი შენობა - ნაგებობით სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ,

მომხს: მაია ალავიძე

2. „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამით“ (სრიგპ)საგრანტო კონკურსში, წარსადგენად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის მიერ მოსაწონებლად წარმოდგენილი იდეების განხილვის შესახებ

მომხს: პეტრე შარიქაძე

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 ივნისის რიგგარეშე სხდომის
ოქმი N 11

2021 წლის 28 ივნისი

დაბა ხარაგაული 9 აპრილის ქუჩა #15

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე - მანანა ბარბაქაძე,

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები:

მანანა ბარბაქაძე, პაატა გოგოლაძე, დავით კიკნაძე, გივი თხელიძე (სათათბირო ხმის უფლებით შვებულებაში ყოფნის გამო), მალხაზი ფხალაძე, აკაკი ლურსმანაშვილი, ოთარ ლურსმანაშვილი, მარინე ხვედელიძე, ეკატერინე შველიძე,იამზე პაქსაშვილი, რუსუდან გიორგაძე, ლენა აბაშიძე, ნონა ზურაბიანი, დოდო ხაჩიძე, პავლე კიკალიშვილი, ვახტანგ ტალახაძე, იულონ კოპაძე, ვლადიმერ ტალახაძე, ჯამბულ გამცემლიძე, იუზა კელენჯერიძე, გივი ხიჯაკაძე, ზურაბ ხაჩიძე, აკაკი მაჭავარიანი, ქეთევან ზუმბაძე, თორნიკე ავალიშვილი, მიხეილ ჭიპაშვილი სულ 26 წევრი

სხდომას ესწრებოდნენ:

მერიის წარმომადგენლები:

დავით დევდარიანი მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე

მაია ალავიძე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის განყოფილების უფროსი, სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

პეტრე შარიქაძე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის განყოფილების უფროსი, სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

საკრებულოს აპარატის წარმომადგენლები:

ლენა კალანდაძე– საკრებულოს აპარატის უფროსი,

ზაალ ორბელაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

მ. შარიქაძე -ა.ა.ი.პ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ცენტრი"-ს ჟურნალისტი ,

მ. შათირიშვილი- მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების თანამშრომელი

ლ. გოგოლაძე - გაზეთ „ჩემი იმერეთი" - ს რედაქტორი

ს. გლუნჩაძე - მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების ოპერატორი

მოისმინეს: საკრებულოს თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ინფორმაცია, მან საკრებულოს წევრებს წარუდგინა სხდომის დღის წესრიგი

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ბორითში მდებარე არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების 1553.00 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ 36.03.33.190), მასზე მდგარი შენობა ნაგებობით სახელმწიფოსათვის საკუთრებაში, უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ

მომხს: მაია ალავიძ

2. „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამით" (სრიგპ)საგრანტო კონკურსში, წარსადგენად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის მიერ მოსაწონებლად წარმოდგენილი საპროექტო იდეების განხილვის შესახებ **მომხს: პეტრე შარიქაძე**

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 25 წევრი

მომხრე 25

წინააღმდეგი 0

დღის წესრიგი დამტკიცებულ იქნა (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის განყოფილების უფროსის, სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის მაია ალავიძის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ბორითში მდებარე არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების 1553.00 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ 36.03.33.190), მასზე მდგარი შენობა ნაგებობით სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ, (თან ერთვის)

აზრი გამოთქვეს:

მ. ჭიპაშვილმა, რომელმაც ითხოვა განმარტება მიწის ნაკვეთის გადაცემის მიზნობრიობის შესახებ

მ. ალავიძემ, მომხსენებელმა განმარტა, რომ სახელმწიფო აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე აწარმოებს პროექტირებას სახანძრო - სამაშველო შენობის ასაშენებლად, ამავე მიწის ნაკვეთზე განთავსებულია შენობა, რომლის ნახებარი ნაწილი მოხვედრილია საპროექტო არიალში, როდესაც პროექტი დასრულდება აღნიშნული მიწის ნაკვეთი მასზე მდგარი ძველი შენობით ისევ დაუბრუნდება მუნიციპალიტეტს. ეს პროცედურა არის გასავლელი

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა საკრებულოს განკარგულების პროექტი

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 25 წევრი

მომხრე 25

წინააღმდეგი 0

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის პეტრე შარიქაძის ინფორმაცია საკითხზე - „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამით“ (სრიგპ) საგრანტო კონკურსში, წარსადგენად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის მიერ მოსაწონებლად წარმოდგენილი საპროექტო იდეების განხილვის შესახებ (თან ერთვის)

აზრი გამოთქვეს:

დ. კიკნაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ ბიუროს სხდომაზე დავსვი საკითხი ჩხერის ციხის იდეის გათვალისწინების თაობაზე

დ. დევდარიანმა, განმარტა, რომ იდეის დამუშავებას ჭირდება დრო და დასაბუთება, ასე მარტივად ვერ გადაწყდებოდა იდეის დამატება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა საკრებულოს დადგენილების პროექტი

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 25 წევრი
მომხრე 25
წინააღმდეგი 0
საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

ამით საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

საკრებულოს თავმჯდომარე **მანანა ბარბაქაძე**